თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7798638

ნომერი: AR11127957

თარიღი : 06.02.2026

გაცემის თარიღი : 06.02.2026

გაცნობის თარიღი : 06.02.2026

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , კოსტავას ქუჩა N65 , კოსტავას ქუჩის N65-ის და 67-ის მიმდებარედ.;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლადო წერეთელი პ/ნ 01024018854
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 38 ბ. 3

ორგანიზაცია:
- შპს კენ.კონსტრაქშენ კოდი: 405038418

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 5 თებერვლის №7797473 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2026 წლის 6 თებერვალს №AR11127957განცხადებით მომართა ლადო წერეთელმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2026 წლის 5 თებერვლის №7797473 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2025 წლის 31 დეკემბრის №7763142 ბრძანებით, №01.10.13.041.062 და №01.10.13.041.090 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებზე, შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, სასტუმრო, საცხოვრებელი, საოფისე) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია – №882026077326, მომზადების თარიღი: 02/02/2026 წ.) თანახმად, ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №65, კოსტავას ქუჩის №65-ისა და №67-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი, დღევანდელი მდგომარეობით არის ს/კ: №01.10.13.041.092.

სამსახურის 2026 წლის 5 თებერვლის №7797473 ბრძანებით, №01.10.13.041.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, სასტუმრო, საცხოვრებელი, საოფისე) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, გაიცა მშენებლობის ნებართვა.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2026 წლის 5 თებერვლის №7797473 ბრძანებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში „მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, სასტუმრო, საცხოვრებელი, საოფისე) „ ნაცვლად დაფიქსირებულია „ოფისის რეკონსტრუქცია“.

სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ №AR11124161 განცხადებით მოთხოვნილ იქნა, №01.10.13.041.092 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, სასტუმრო, საცხოვრებელი, საოფისე) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვის გაცემა. რასთან დაკავშირებითაც, წარმოდგენილ იქნა შესაბამისი სანებართვო დოკუმენტაცია. სამსახურის 2026 წლის 5 თებერვლის №7797473 ბრძანებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გაიცა, შეთანხმებული მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, სასტუმრო, საცხოვრებელი, საოფისე) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა. თუმცა, ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში საპროექტო ობიექტი/განსახორციელებელი სამშენებლო სამუშაოები არასწორად დაფიქსირდა.

სამსახურის მიერ ასევე დადგენილ იქნა, რომ ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველში, ავტომატურად არის ასახული საპროექტო ტერიტორიის, №AR11124161 განცხადების რეგისტრაციის დროს არსებული, ძველი საკადასტრო კოდები.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 5 თებერვლის №7797473 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 5 თებერვლის №7797473 ბრძანებაში და:

1.1. ბრძანების სატიტულო ინფორმაციაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ის ველი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: №01.10.13.041.092
- მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქუჩა №65, კოსტავას ქუჩის №65-ისა და №67-ის მიმდებარედ
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 1744.0 კვ.მ.
- მესაკუთრე(ები): შპს „კენ კონსთრაქშენ“ (ს/ნ: 405038418) „

1.2. ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ 1. გაიცეს: ქ. თბილისში, კოსტავას ქუჩა №65, კოსტავას ქუჩის №65-ისა და №67-ის მიმდებარედ, №01.10.13.041.092

საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმებული მრავალფუნქციური შენობის (კომერციული, სასტუმრო, საცხოვრებელი, საოფისე) კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა.“.

2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 5 თებერვლის №7797473 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2026 წლის 5 თებერვლის №7797473 ბრძანებასთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.